

პირა, 25 დეკემბერი 1916 წ.


რედაქციის აღრიცხვა:
თფილის, ოლდას ქუჩა, № 6.

— ვალ 15 პაპ. —

მარტინ მარტინაშვილი №52

იუმორისგ.
უურნალი.

№52



პირისუფალი. სასიამოგნოთა და სანუგეშოთ ისა გვაქვს
ბ-ნო თელო, რომ ბავშვი პირწავირდნილი თქვენი გამოსა-
ხულება.

„შოგა“ მეზობელის ცვანები

(საშოთაო მოსაწყენი აზბავი)

ბელინიერი შემთხვევა, რომლის შესახებაც მე თქვენთან საუბარი მსურს, ერთი წლის წინ ეთ მოხდა.

ქ-ნი სახალხო^{*)} ფურცელაძისა კარგა ხანია ფეხ მძიმეთ იყო. ოლბათ იმის გამო, რომ მას პირველი შვილი უდრიოთ მოსწყდა და ახლა მეორეზე გახლდათ ფეხმძიმეთ, ქალბატონი სახალხო ფურცელაძისა თავს კმაყოფილათ გრძნობდა: კარგათ სჭამდა, კარგათ სვამდა, კარგი მოლხენაც ჰქონდა. ან კი რატომ არ უნდა ყოფილიყო კარგს გუნებაზე? მთელი ქართველი თავად-აზნაურობა, ასეთივე სამლენელოება და აგრეთვე ქართველი მსხვილი ბურჯუაზია მას ეალერსებოდა, თავს ევლებოდა და ყოველისტრით ანებივრებდა. როდესაც საჭირო იყო რაიმე ცნობის გავრცელება, მაშინვე ქ-ნ სახალხო ფურცელაძისას მიმირთავდენ. ის მსწრაფლ მთელ თავად-აზნაურობას მოჰქონდა ამბავს და ამისთვის ჩინებულ გასამრჯელოს იღებდა. ბავშვები ჰყავდათ აღსაზრდელი, მასვე მიმართავდენ და ამისთვისაც ოქროსა და ვერცხლში სვამდენ. საქვე ექნებოდათ სასამართლოში, მაშინაც ქ-ნ ფურცელაძის დახმარება იყო საჭირო და აი სწორეთ ამისთვის ულოლიავებდენ და ანებრებდენ მას.

ქართველი გლეხებისა და მუშების თანაგრძნობა იმ დროს არც თუ ძლიერ საჭირო იყო ქ-ნი სახალხო ფურცელაძისათვის. მხოლოდ ხანდისხან თუ გახდიდა იგი მათ თავისი ყურადღების ღირსათ და ისიც ისეთის მედიდურობით, რომ ყველა აშკარათ ხედავდა ნაძალადევი ალერსისა და ღიმილის სარჩულს.

მაგრამ სწორეთ ქ-ნი სახალხო ფურცელაძის სიმძიმის პირველ ხანებშივე, თითქოთ მოულოდნელათ, მოევლინა ჩვენს ქვეყანას ახალგაზრდა ქვრივი კნეინა საქართველი კლდიაშვილისა. მან უცემ მოაჯადოვა როგორც ჩერქეზებით მოსახლეობა რეგისტრირებული არის.

^{*)} სახალხო,—თუმცა დიდათ უცნაური, მაგრამ მაინც სახელია ქალისა.

მართალია ამ დროს ქ-ნი სახალხო ფურცელაძისა თვეში ჯერ კიდევ არ იყო ჩამდგარი, მაგრამ მიუხედავათ ამისა, მაინც განიცადა საშინელი ტკივილი მუცლისა. ექიმების აზრით ეგ სულ სხვა მუცლის ტკივილი იყო, და მას ორსულობასთან არაეითარი კავშირი არა ჰქონდა. ეპვებით ბეგრი სხვა და სხვა აზრი გამოითქვა ამ სავნის შესახებ, მაგრამ დანამდვილებით ჯერაც არავინ იცის, თუ რამ გამოიწვია ეგ წინასწარი მუცლის ტკივილი.

ერთი კია: ამ უდროო მუცლის. ტკივილმა განსაკუთრებული გავლენა მოახდინა ქ-ნზე და ლრმათ დააფიქრა შესახებ მომავალისა. მართლაც თითონ ქ-ნი სახალხო ფურცელაძისა სულით და გულით არისტოკრატია, თავად აზნაურთა სისხლი და ხორცი, იმის აზრებსა და იდეალებზე ცდილი. მას არსებითად არ შეუძლია თავი გაუყადროს უბრალო ხალხს, თავმოყვარეობა ნებას არ მისცემს სატრიფო გლეხი, ან მუშა იყვანოს. მან არც იცის იმათი ენა, იმათი ზე ჩეცულება; არ იცნობს მათ სულსა და გულს, არ იცნობს და არც შეუძლია გაეგება.

მას არ შეუძლია, და ყოველივე ეს საჭირო კია. თავად-აზნაურობისა და ვაქარ-მრეწველთა ჩამოშორება კეთილ ცხოვრებას მიჩვეულ ქალბატონისათვის ერთობ ძნელი და საგრძნობელია. საჭიროა სხვა ვინმე. და ეს სხვა ვინმე ვინ შეიძლება იყოს, თუ არ გლეხ-კაცობა და მუშები? იმითხე უნდა დაამყაროს მან თავისი მომავალი კეთილდღეობა და ამიტომ საჭიროა კავშირის აღმდგენი, მათთან მიმსვლელი, მათი მომყიდველი და მომჯადოებელი. ცხადია ეს როლი უნდა იკისროს ქ-ნი სახალხო ფურცელაძის შვილმა, იმ შვილმა რომელზედაც აი ეს ძმენი ხანია ფეხმძიმეთ არის.

მართალია ეს მომავლის „აბრამი“ თავად-აზნაურთა ნაშთია, მაგრამ ის იძულებული იქნება ულალატოს თავისიანებს და ამგარათ ღალატი შეიტანოს სხვებშიაც. საქმისთვის ეგ სულერთია. ამ მოსაზრებით ქ-ნი სახალხო ფურცელაძისა ძლიერ უფრთხილდებოდა მუცელს. ქართული ინდაზა ხომ ტკივილათ არ ამბობს: „სიტროთხილეს თავი არა სტკივაო“.

ამ მიზნით მან პირველ ყოვლისა ინახული ცნობილი მეოთხევი ქ-ნი თექლე, აუქსნა გარემოება, გაასინჯა ხელის გული, კარტიც გააშლია და

სასურველი პასუხით გულდამშეიღებული სახლში დაბრუნდა. მკითხავის აზრი დაახლოებით ასეთი იყო:

— თქვენი შვილი ჩემის შეხედულობით ან ვაჟი იქნება, ან ქალი, ერთის კატეგორიული შენიშვნით,—თუ ორივე სქესს მოვლებული არ გამოდგა. მას დიდი მომავალი მოვლის: იგი ღალატი სა და უნდობლობის ნიადაგზე ააგებს თავის მომავალ კეთილდღეობას. რენეგატობა მისი სამოქმედო გეგმა იქნება, ხოლო „ყოფილეაცობა“ კი იდეალი. მის გარშემო შემოკრძბიან მსგავსი მისნი დი თქვენს სახლს მოაჭერნ კიდით კიდედშლე.

ქ-ნმა ფურცელაძისამ ინახულა სხვა მკითხავებიც, მაგრამ პასუხი არსებითად ერთი და იგვე იყო. კველანი ერთპირად გაიძახდენ, რომ ახალშობილს, მხოლოდ ერთად ერთი გზა ექნება ცხოვრებაში, — გზა ღალატისა და მოლალატეთა შეკავშირებისა.

— იგი არ მოერიცება არავითარ საშუალებას, რომ სახელი თქვენი დიდებულ ჰყოს! — დაამთავრა ცნობილია მკითხავმა ქილილმ.

ქ-ნი სახალხო ფურცელაძისა იმედით აიგსო და დაკარგულ ბედნიერებას ახალის მოლოდინით იყვანდა: და ით, ერთ მშვენიერ საღამოს ქ-ნ სახალხო ფურცელაძის ოჯახში დიდი ფაცა-ფუცი შეიქნა. ლეიბ-დოსტაქარნი, ლეიბ-ბებიანი, ლეიბ-ძიანი და სხვა საჭირო სპეციალისტი ბუზებივით ირეოდენ მისი სარეცლის გარშემო. ბავშვი ჯერ დაბადებული არ იყო, მაგრამ უკვე ბევრი იცნობდა მას მეოთხეათა ნათქვამიდან. წარჩინებული ერთმანეთს სანაძლეოს უფებდენ მისი სქესის შესახებ. გიორგი ამბობდა:

— ყოველივე ექვე გარეშეა ვაჟი იქნება, ვინაიდან ქალი არ იქნებაო.

— ჩემის აზრითაც ვაჟი იქნება, მით უმტეს, რომ ქალი სასურველიც არ არის, — ბრძანებდა არჩილი.

— ვაჟი რო იქნება ამაზე ღაბარაკიც მეტია, ვინაიდან პირველი შვილი უდღეული ჰყავდა და თანაც ქალი იყოო, — მოგახსენებდათ იასები.

განსაკუთრებულ აზას მხოლოდ ბ-ნი სამსონ პირველი იცავდა.

— მიკვირს, ღმერთმანი, (მორწმუნე კაცია), რა განსხვავებასა ჰპოებთ ვაჟსა და ქალს შორის.

განა სულ ერთი არ არის? განა თვით დიდმა შოთამ არა სთქვა: „ლეკვი ლომისა სწორია, მუ იყოს, გინდა ხვადია“—ო. ჩემთვისაც უფრო სასურველია ვაჟი, მაგრამ მოსალოდნელია ქალიც დარჩეს.

დიდებული თელორე ცხარედ გამოიყამათა სამსონის მოსაზრებას და განაცხადა:

— აშერაა ბ-ნი შოთა აღნიშნულ ტაქში მხეცებზე ლაპარაკობს და არა აღამიანებზე, გინაიდან ჩევნ დანამდვილებით ვიციო, რომ აფრიკაში, და სხვაგანაც, ჯერ კიდევ დღესაც არსებობს მხეცთა ჯიში, რომელსაც ლომი ეწოდება.

საინტერესო კამათს ბოლო მოუღო ახალშობილის საზარელმა წიგილმა. ის ჯერ კიდევ სრულად არ იყო დაბადებული, რომ იგრძნო დასწყისი არსებობისა და ხმა ამოილო. მალე გამოირკვა, რომ ბავშვი მართლაც იშვიათი არსება იყო: იგი უსქესო გამოღვება. ამ გარემოებით ყველანი კმაყოფილნი დარჩენ, ვინაიდან დადებული სანაძლეო არავის სასაზრებლოთ არ გადაწყვეტილა.

საერთო აღტაცებას ისიც უწყობდა ხელს, რომ როგორც ჩევნს სურათზე არის აღნიშნული, (იხ. პირველი გვერდის სურათი) ახლად შობილი სილამაზითა და თითქმის სხვა ყველივე გარევნული ნიშნებით განსაკუთრებლათ წაგავდა ბ-ნ თედოს. ეს სასიამოვნო ამბავი, ბ-ნმა გიგომ ამ სიტყვებით აღნიშნა:

— სხვა მრავალ ღირსებათა შორის ახალ შობილი პარწავარდნილი თქვენი სახიერებაა, ბ-ნო თედო; ამიტომ ქ-ნმა სახალხო ფურცელაძისამ საბოლოოთ გადასწუფვიტა მისი აღზრდა და ცხოვრებაში მისი ხელმძღვანელობა თქვენ მოგანიჭის.

— გარწმუნებთ არც შესცოება, — ჩევეულებრივის კრძალვით მიუვი თელორემ, — ჩემზე უკათესს სხვას ვის ნახავს ქართველთა შორის? ესეც არ იყოს, მე უკვე ვიცი ბავშვის დანიშნულება. ჯერეთვე ღელავს და ირხევა, როგორც ზეირთი. მე ჩავბერივ მის სულს უკვდავებისას და პატარა ზეირთი ჩემი სუნთქვის ქარიშხალზე მძლავრ ტალღებათ გარდაიცვევა, რომ დაამსხვრიოს მსოფლიო და მის ნანგრევებზე ააგოს საქართველო.

მართლაც, საერთო სურეილის თანამაღ მიენდო თედოს ახალშობილის მოვლა პატრიონიბა და ისიც ენერგიულათ უცუდება თავის საქმეს. აღმზრდელი მას „ზეირთს“ ეძახის. ბავშვი უკვე წამოიზარ-

და. მას საცსებით აღმოაჩნდა მკითხავთაგან ნაჩვენები თვისებები. ქ-ნი სახალხო ფურცელაძისა განუსაზღვრელი იმედის თვალით შესცემის მას, ხოლო აღმზრდელი და ხელმძღვანელი ბავშვისა მუდამ ხელში ათამაშებს და ამბობს:



— ხალხნო, შეხედეთ ჩემს გვრიტუნიას, განა ამაზე უფრო ლამაზი, ამაზე შეტათ საღი შეიძლება რაშე?

გორგო.

(ბათომში შექმნილი ლეგენდა. *)

იყო და არა იყო რა, ლვთის უკეთესი რა იქნებოდა!.

იყო ქალი თვალ-წარმტაცი მშვენიერებისა. მისი თვალები ღმერთ უშავესი იყვნენ და მისი ლოყები ლალზე უწითლესი. „მთის მწერვალთა თოვლი მუქი სჩანდა მის სითეთრესთან, ყორნის ფრთა ნაცრის ფერი იყო იმის თმის ნაწინავებთან შედარებით; ბროწეულის ყვავილი ყვითელი ეგონებოდა აღამიანს მის მარჯნის ფერ ტუჩებთან“... სამოთხის წალკოტში რომ გაევლო, ვარდუყავილნი სირცევილით თავს დაპხრილნენ და შურისაგან ცრემლის ნაცვლად ფოთლებს დააფრჩვევდნენ.

მამა კაცის თვალი არ მოუკრავს მისის პირისახისავის... დამწყვდეულ იყო პონტის ზღვის პირად მიუვალ კლდეზე ამართულ კოშქში... „ასი ცალთვალა და ორასი სამთვალა მდევი დააყენა მრისხანე მამამ მის მცველად“...

სახელი მისი იყო ალერსი.

მთელ მსოფლიოს ელვის სისწრაფით მოედა ალერსის მშვენიერების ამბავი.

ყოველის კუთხით დაიძრნენ ჭაბუკნი გმირნი, რაინდნი სახელოვანნი, ბრწყინვალე გვართა შთამომაგალნი, სვანენი, თუ ღატაკნი, მსწავლულნი თუ უვიცნი და სთხოვეს ალერს ცოლობა, მაგრამ ამაოდ...

ყოველ დღე, დილიდან დაღამებამდე კოშქის ფანჯრის წინ, თუ თვით კოშქის დარბაზში გაჩაღებული იყო ცხენთა ჯირითი, კენწლაობა, მიზნით სროლა, ბურთაობა, ლექსთა ახზვა, სიმღერა-მუსიკობა, ცეკვა თამაში, მეცნიერული კამათი... ყველა მოწადინებული იყო დაემონა მშვენიერი ქალწულის გული... მაგრამ ალერსის გული აშიყთათვის ისეთი-ვე მიუვალი იყო, როგორადაც მისი ციხე-კოშქი.

მიღიოდა დრო და ჭაბუკნი, ალერსის გულის მაძებარნი, დაღლილ დაქანულნი, დამარცხებულნი, გაწმილებულნი, გულმოკლულნი ბრუნდებოდნენ თავიანთ ქვეყნებში.

მშვენიერი ალერსი ყველასათვის მიუწდომელი

*) ეს ლეგენდა შექმნა გ. გელოვანმა.

რჩებოდა ვითა მარგალიტი ზღვის უფსკრულში, ვითა ვარსკელავი ცაში...

მხოლოდ ნატყრა, მხოლოდ ოცნება-ლა დარჩენიდა ნუგეშათ გულმოკლულ აშიყთ.

გავიღა დრო ..

და დადგა დღე ..

მრისსანე მამისათვის დღე საზარი და შავნელით მოცული ..

შუვენიერ ალერს დაეტყო ფეხშემიმეობა...

შეურაცყოფილ მამის მრისსანე ღრიალი აღლვებულ პონტის ზღვის ზვირთებსაც-კი აჩუმებდა... იგი ჰევდა მრისსანე ცას, რომელიც მზა არის ჩამოიქცეს და წალეკოს დედამიწა.

სასახლე შავებით შეიძინა და ლხინის ნაცვლიდ გაისმა ტირილი და გოდება.

დაიწყო ალერსის წამება.

იგი ჩაჰეტეს სარდაფში თაგვებთან ერთად. მისი საწოლი იყო ციფი მიწა და საკვები—პური და წყალი. ამ წამებით სურდათ გამოეტეხნათ, გაეგოთ —ვისია ბავშვი, მაგრამ ამაოდ..

ალერსი სდუმდა ვითა სამარე.

რაკი წამებით ვერას გახდნენ და სურეილი კი დიდი იყო—გაეგოთ ვინ იყო ალერსის გულის და-მპყრობი, მშობლებმა გამართეს თათბირი და დასკვნეს—მოიწყიონ მარჩიელი.

დანიშნულ დღეს შეკრბნენ დაჩიგრულ მამის ნაცნობ-მეგობარნი და მოვიდა მარჩიელიც.

მარჩიელმა ალერს დახედა ხელზე და ასე სთქეა; «მშვენიერო ქალწულო, დიახ, უნ ორსულათა ხარ!... მაგრამ ორსულობა შენი არ არის ჩვეულებრივი და ნაყოფიც შენი მუცლისა არაჩვეულებრივი იქნების. შენ გეყოლება ვაჟი, რომელიც გაიზრდება არა წლობით! ეხლანდელი სისხლის ღვრა და ომი არ გათავდება მანამდის, სანამ იგი არ დავაუკაცება, ხოლო იგი დაამარცხებს მტერს, მოსპობს ამსისხლის ღვრას და ქვეყანას განათავისუფლებს უბელურობისაგან.

ზ ღ ა ჲ ა რ ი

მე მოგახსენებთ ამბავს ძველებურს,

(იმედიცა მაქვს რომ დამიგდებთ ყურს).

იმ ღროს, როდესაც საქართველოში,

(ამ ედემის მსგავს ტურფა მდელოში),

იყო ტყეები: უტეხი, ვრცელი,

(ასწლოვანები: მუხა, წიფელი),

გადაჭიმული შორიდან შორა,

ირგვლივ გაშლილი ვაკე, მთა, გორა;

როს ეგ ალაგი, ესე ტყეველი,

იყო მხეცების საცხოვრებელი:

სხრაას ხუთაშ დაგვაქცია

(გურიის ცხოვრებიდან)

სოფელი ტილ პუზუნი კარგა მოზრდილი სოფელია. მართალია მცხოვრებთა რიცხვი, არც წინეთ ყოფილა დიდი და არც ახლა არის, და არც სოფლის კანცელარია რა სკოლაა შეი, მარა, მაგივრათ აგერ ჩემ მასხოვრობაშიც ამ სოფლის ძირითადი მოსახლე, სიმონა ბარდნალაძე კომიტათ და ოლექსანდრე ტრაბახაძე — პოლშნიკათ იყვენ არჩეულნი. ორი სამონდ „ბოჩიკიც“ იყო. ახლაც თვალწინ მიდგია ბებია ჩემის სიტყვები (ცხონებულმა აგერ თრმოცი წელაშადია თქვენი ჭირი წაიღო) — მამა ჩემიდან გამიგონია, რომ ამ სოფლიდან ერთხელ მამასახლიც კი იირჩის; ძალიან ყოჩალი და დარდიმანდი მამასახლისიც გამოდგა და სხვას სულ არ გვანდა. მის დროს ჩვენი სოფლიდან არც სახელმწიფო გზაზე აწვევდენ და არც ურმებით ბარგის საზიდავათო. მაგიორში მასაც ღმერთი შველოდა და ისე გამდიდრდა და ისეთი სახლი წამოკიმა, რომ გურიელი ინატრებდათ.

სოფელი რაღაც ძალის ენასავით არის ორ მდინარეს შეუ გაწოლილი. სწორეთ ძალის ენასავით — თუ ენას კლიტის მხარეს სწორათ მოვაჭრით. მაინცა და მაინც მოსავლიანობას სოფელი ვერ დაიკვებნის და ვერც სიმღიდრეს, მარა რაც სოფლის თავი და თავი ღირსებაა, — აქ აზნაურები ბლომად არიან და თითქმის სოფლის მეოთხედს სასულიერო წოდება შეადგენს. ამას გარდა ბარე ოთხი ძალიან პატავსაცემი მოზარეა, ერთი კარგი სატოლიბაშე, ორი სამი ვაჭარი, ერთი მეწალე (ანუ ზაპოშნიკი) ერთი მეუურნე, ოთხი ხარაზი და ერთიც ტარანის ვაჭარი; (ერთც მეკვასეა, მარა ამაზედ ლაპარაკი არ ღირს.) როგორც ხედავთ ამისთანა თავ-აღერილ სოფელში ვაგლიათ მამასახლისი ვერც კი ჩამენედავს და სოფელიც ძევლთა-განვე ღვთისახან ნაკურთხ მიღს არ ივიწყებს და სხვა სკოლებიან დაბა სოფლებივით როდი აბუზუნებულა იმ მოქადაგე — რაზმელების დროს. ის ძევლებურათვე განაგრძობდა ყოველ ახალი წლის წინა დღეს ცხემლის შეშის ჭრას, ახალ წელიწად საღამოს „აგუნას“ გადაძახებას მოზრდილი ღორის

თავით, თავის ღრუზე ქათმის ფერხვას და „აგი-დელას“ ყურაძნის კრეფაზე.

განაგრძობდა და ამისთანაობაში ის სირცხვილს არ სჭამდა. მისი აგუნას ხმა მეორე მესამე სოფელშიც უნდა მისულიყო. ამას ის გარემობაც უწყობდა ხელს, რომ სოფელი რაღაც იმ გვარ გორაკზე იყო გაშენებული, ძალის ენის ერთი გრძელი გვერდა დაბლა იდვეს მეორე კი ოღრო ჩოლრით აყირაოთ. სოფლის მაღალი ნაწილის იქით ვორაკიდან დაბლა აზნაურების სახნაესათესი მიწები იშლებოდა კამამა კალმახიან, მდინარით. რასა-კვირველია კალმახიც ბრწყინვალე წოდებას ეკუთვნიდა და სოფელი მეტარანე მეზობლის ღუქნიდან მოტანილი თევზით თუ დეიხეფსებდა.

სოფლის დაბალ გვერდს ბნელი მდინარე ჩაუდიოდა. ამბობენ ეს მდინარე მდინარის ნატკლებია, მარა მე სულზე ხელს ვერ დავიდებ და ვერ ვიტყვი ეს მართალია თქვა. არ ვიტა და იმიტომ. ლამე ამ მდინარის გალმა გასვლის აქაური მოსახლე უკაცრავათ ვერ გაბედას. ვის არ უნახავს აქ ან ქალათ, ან მამლათ ნაქცევე ჭინჯა?

სახელი ტლაბუზუნი ჩემის აზრით იმდენად მისი სიმშენიერისათვის არ უნდა დარქმეოდეს სოფელს, რამდენათაც გაუვალი ტალახების გამო. აზნაურობა ხომ და მასთან სასულიერო წოდება და მით უმეტეს „კუპეცები“, გზის კეთების ვალდებულნი არ არიან და აბა ვინდა გააკეთებდა? შარტო იორდანეს და ზავარიკას ტალახი ერთ რამეთ ღირდა. ზაფხულში ურემი ჩელტამდის ედებოდა. ამ რიგად ამ სიტყვის ძირი ტლაპო უნდა იყვს და პუზუნი კი აღბაღ ვეფხვის ტყაოსნის ზეპირად მუღდნე რითმის მოაშეი აზნაურებმა მიუმატეს შეტი კეთილგმოვან ებისათვის.

ცხრას ხუთში, როგორც ვამბობდი, ერთნანს სოფელი ფეხის ხმას არ აპყოლია, სანამ ტრაბახაძესა და თავამ მშიშარაძეს ერთ წვიმიან დღეს ჩეცები არ მოუვიდა.

ტრაბახაძეს თითქოს ეთქვეს: „მოქადაგები, როგორც ხმებია, კარგად ლაპარაკობენო“. მშიშარაძე აღელვებულიყო და მეზობელი რომ არ შემოსწრებოდა, წყალ ჩამდგარ თხრილში წაქცეულს მშიშარაძეს, თქვენი მტერია, ცუდი დღე დაუდებოდა. მეორე დღესვე მშიშარაძემ ტრაბახაძის წინ ბოლიში მოიხადა, კარგი სადილით გაუმასპინძლდა

და, წინეთ ყოველ საქმეში მიუდგომელი შშიშარაძე, საუკეთესო მეზობელი გახდა. ილექსანდრემ მონათლაო ხუმრობით ამბობდნენ მეზობლები.

ილექსანდრეს ათის თაობაში აზნაურ ღინდილაძის ქვრივს რამოდენიმე ფუთი ჩხავრის ღვინო მრჩარეს. ავი ენები ამბობენ ილექსანდრემ ბევრი ექვება მარა ქურდებს ვერ მიაგნო, რადგანაც ღვინო გემრიელი და კარგი ღირსებისა იყოთ.

ასეთ თუ ისე ერთი ორი ხელწამერიაგძის გარდა აქ ქურდობას ვერავინ გაბედავსო ამბობდნენ და მართლა არც კი ჰქონდათ იმის დრო და თავი. ყველა შხიარულობდა: აზნაურები თავის სახლსა და მამულში და სოფლელები კიდო აზნაურების სამუშაოზე. ყველა კმაყოფილად გრძნობდა თავს და მის ნახევრათ დახურულ წის პატარა შტატის ეკლესიაში აღდგომა ახალ კვირეს, თუ კარგი დარი იყო, ხალხი არ ეტეოდა.

გვა, საღ არის ახლა ის დალოცვილი დარბაისლური ლაპარაკი მაშინ რომ გაიგონებდი „აცხონა ღმერთმა ჩვენი სიკი დიდი ჰურმარილია კაცი იყო იგანეს სულ არ გვანდაო“.

— „თურმე ერთხელ ივანეს გურიელი ესტუმ-რა. ამაღაში ხუმარი კაჭუნაიშვილი რეოდა“, — დეიჭყო სეფერამ, — დამწვარა (კრიუანგი) ივანესას ხის ფოთოლ გადაფენილ სუფრაზე ამაღას თითონ ნათალი ღომი დაუწებეს. იმ ღროს არა თუ ყველის ამთავე თეფში, ჯამებიც არ მოიპოვებოდა. დამშეულმა მხლებლებმა ღომი ჩქარა გაათავეს. ამის მნახელ ივანეს ღიმილით ეთქვა: — „როგორ გამოძლიერდა ყაბახიონ“. კაჭუნაიშვილმა იქვე დაიწოქა ცალი მუხლით და გურიელს შეევერდა.

-- „სთხოვეთ ბატონო ივანეს ერთი პეშვი ამ ღომის თესლი გვითავაზოსონ“. ივანეს გაპეტორვებოდა განა თქვენ ღომის თესლი არ გაქვთ რომ აქედან არ წაილოთო?

-- გვაქვს ბატონო, უპასუხა ხუმარამ, მარა ჩვენ ღომს ყაბახი ნახვარ ქვასს სქამს და არ აძღებს ეს რაღაც სხვა ნამეტანი კარგი ჯიშის ყოფილაო. ბევრი იცინეს თურმე. ივანე მიხვდა საქმე რაშიც იყო და ბრძანა ღომის მიმატება.

ამ ლაპარაკის ღროს ეკლესიიდან ისმის მღვდლის უფრო მტრიალის ვიდრე ბრძანების ხმით, „სიბრძნით აღმართენით“... და ყველა მუხლებზე ეცემა და მეტანის შობა.

ი ამისთანა მარგალიტებზე იყო სულ ლაპარაკი და ხუმრობა სიცილი, ან ტკბილი აბადელიერ წირვის შემდეგ და ხსან ბევურაი, ალილ...

ეხლა სადღარა. ასე გვინია გამარჯვობის სათქმელით აღარ სცალიათ. გლეხი ისე ჩაუვლის გვერდს ორ სამ აზნაურს, გინდაშც არაფერი. ისევ ააშენა ღმერთმა იუსუფხანოვის ოჯახი. ის დალოცვილი სწორედ თავის დროზე გვესტუმრა, თორებ ხელწამერავაძებსაც გლოხა დღე დაადგებოდათ: ამა და ამ ღროს ეს დეიკარგა, იმ ღროს ის დეიკარგა შენ გეცოლინება ან მერყვანე ან ქურდი გვანახეო. გაგონილა შენი ჸირიძე? მაგას რომელი კეკაში მყოფი კაცი წამერილებენს? იუსუფხანოვმა ისეთი მაგრათ დაპკრა მაგიდას მუშტი როოომ... ერთბაშათ ყველა თავის ბულეში და პაწაი კიდო უფრო იქით მიაძრინა. მართალია მაშინ რისხეა უფრო იმისან კაცებს მოხვდა, ვისაც ისე სწამდა მაშინ სოფელ ტლაპუზუნის დომხალი, რაცარც მეჩემი ჩინეთში გადაფრენა, მარა მაინც ვაცხონე მამა მისი. კინაღამ არ დაგვაუდა თავზე აი გვიშბრის რაინდები?

ასე ქვე იყო, მარა ღმერთი მაგენს გუუწყლა თუ კეკა ისწავლონ. ახლა შეგხდება ბატონონ ვინცხა კაზილარი, უკრავ თავს და ღმერთს დიდი მაღლობა უნდა უთხრა მაგიორი თავი თუ წამოგიწაკუნა. სადღარა ბატონო უწინ რომ მეიღლეტდა ყაბახი თავს და სანამ შენ თვალს მოპკრავდი: „ღმერთის წყალობა და დღინძელობა ბატონს, რავა ბძანდები ბატონო, რაგა მშეიღლობით რაგა კარგათო“. ახლა გინდა შენ გაგიარია და გინდა ვინცხა ჩუნჩიურეხაიშვილს მაგინიზა სულ ერთია.

მოღი და ნუ გასკდები გულზე კაკალი კაცი არა სწორეთ დაგვლუპა ბატონო იმ ცხრას ხუთმა, სწორეთ დაგვაჭრია.

დღა.



მორიგი პრეზე

მე ვერ წარმომიდგენია: რა ეშველებოდა საქართველოს, რომ წელიწადში ერთხელ მაინც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება მორიგ კრებებს არ მართავდეს. ბევრს არ ვიტყვი მაგრამ რამოდენიმე წარჩინებული ქართველი ამ უბედურობას ვერ გაუძლებდა...

ისე დიდია ჩვენ შორის საზოგადო საქმისადმი სიყვარული.

მიუხედავთ ამ სიყვარულისა წლევანდელ კრებებს (თუ არა ვცდები) ცატა შეუფერებელი გულგრილობის ნიშნები დაპკრავს. უკვე სულ რაღაც ოთხი-ხუთი კრება გაიმართა და ლამის მორჩენ დასახულ საკითხთა განხილვას. რომ მკითხველთ თავი არ ჰევაწყინო, მე ვანგიზრახე ვუდალატო უპირველეს ქართულ ჩვეულებას — განმეორებას. დას, ვადა მხდეს ლირესეული სასჯელი, მაგრამ მე მაინც არ გავიშეორებ იმას, რაიც შარშანდელ კრებაზე დაესწერე და დავხატე. არსებითად უმრავლესობა მომქმედ (არა შუშაობის მხრით) პირთა ისევ ისინი არიან, ვისი ხატება მე შარშან ამ დროს გავაცანი „ეშმაკის მათრახის“ პატივუმულ მკითხველთ. დღეს კი მოვიხსენებ ისეთებს, რომელთა შესახებ შარშან არაფერი თქმულა, ხოლო წელს დუმილი შეუძლებელია.




ილაშვილი ივანის აამიშვილი.

(მარჯვენა ფრთა)

გაზეთი „საქართველო“ ყველაფერში მიკერძოებით იქცვა და რა გასაკვირი იქნებოდა, თუ

კრებების შესახებაც მიდგომილობა გამოეჩინა. ასეც მოხდა. გასული კვირის დამატებით ფურცელში მოთავსებულია საუცხოვო შარქები ნიჭიერი ხელოვანის მ. კიოურელისა. მათ შორის არის რასკვირვებითა ჩვენი კრებების დედაბოძი, ენციკლოპედისტი „იმია ოტესტეოები“-სა პატივუმული ირაკლი ივანის რამიშვილიც. სურათს ქვეშ აწერია: „მხიარული ორატორი“ ირაკლი რამიშვილიო. აქედან ცხადია, წარწერის გამქეთებელს ამ მუშაობის დროს ქუთან არ აღმოსახენია.

ბ-ნი ი. რამიშვილი ენერგიული მოღაპარაკე. ჩვენ ვეცდებით მისი სანიმუშო სიტყვა ცალკე მოვათავსოთ ერთ-ერთ მომავალ ნომერში, ვინაიდან ის არასოდეს არ იქნება მნიშვნელობას მოკლებული. ახლა კი აღნიშვნათ განსაკუთრებულ ერუდიციას ორატორისას. კრებაზე მოღაპარაკეთა გენეალოგიის ცოდნაში. ვერ გამოჩნდება ისეთი ორატორი ვერც აღიღობრივი, ვერც პროფინციიდან ჩამოსული, რომ ირაკლი ივანიჩმა იმისი სახელი, მისი მამის სახელი და რამოდენიმე ეპიზოდი მისი წარსული ცხოვრებისა არ იცოდეს. აღბათ ამისთვის უყვარს ის ბ-ნ თავმჯდომარეს და განუსაზღვრელ ნებას აძლევს ლაპარაკისას.



ივანე ბ-ნ. ივ. რამიშვილი

„ზურგის მხარე“ — თელ

ბ-ნმა ირაკლი ივანიჩმა ლაპარაკის დროს უზომო გატაცება იცის და ეს არავითარ საფრთხეს არ შეადგენდა კრებისათვეის, თუ გატაცების დროს არ ან-ვითარებდეს აგრეთვე ენერგიულ ექსტიუციულიაციასაც. ერთ ერთ კრებაზე ამ უსტუცულიაციის მსხვერპლი კინაღმა შეიქმნა ჩვენი ცნობილი კრიმინალისტი გორგი ბეჭანიჩ გვაზავა, რომელიც ირაკლი ივანიჩმა

წინ აღმოჩნდა მჯდომიარე და ისიც ისეთი შწვავე საკითხის გარჩევის დროს, როგორიც არის ილი-ასული სახლის მოვლის საკითხი.

ჩვენს სურათზე ორატორი აღნიშნულია „ზუ-რგის მხრიდან“ და „მარჯვენა ფრთიდან“ იმის მი-სედვით, თუ ვინ როგორ უყურებდა მის მსჯელო-ბას.



„ჩვენი რჩეო-*) გაბაზილი.

ახალგაზრდა ორატორი, რომელსაც „საქართვე-ლო“ სხვათაგან გასარჩევად „ჩვენს რეზონს“ ეძისის, გვარათ გაფრინდაშვილია. იგი ერთ-ერთ წერტინე-ბულ მოლოპარაკეთ ითვლება არა მარტო წერა-კით-ხვის სიზოგადოების კრებებზე, არამედ ყველა სხვა კრებებზედაც. ბ-ნი რეზონ კუპრიაშვილის დინჯი კილო უფრო ინაღირებს მსმენელის ყურადღებას, ვიღრე მისი მსჯელობის საზრიანობა და ამაშია ტრა-დედია ბ-ნი რეზონ ქობაშვილისა. უმეტეს ნაწილათ, ბ-ნი ჩვენი რეზონ საბაშვილიც ექსპრომტათ, ანუ უკეთ ვსთქვათ მოუწადებლათ ლაპარაკობს და თუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ საკითხს, მაშინ არ შე-გვიძლია ბ-ნ რეზონ ყობოშვილს ჯეროვანი ადგილი არ მივაკუთნოთ. ბ-ნ ჩვენ რეზონ გაბრუაშვილს ერთი ახირებული ზეც სკირს: საშინლათ უყვარს სხვა ორატორთა გვერგის გადამახინჯება, რომლითაც ცხადია სურს აღნიშნულს თავისი მათღამი „ფეხებზე მკიდიაობა“. მაგალითად, პატ. თედორე კიკვაძე მან

მოიხსენია „ვიღაც კვიეინიძეთ“ ბ-ნი კ. ბურჯანაძე „ვ. ბუჟიაშვილათ“ და სხ. შეიძლება ეს გულმავიშ-ყობითაც მოსდიოდეს ბ-ნ რეზონ მღებრიშვილს.



ბ-ნი გიორგი გორდეზიანი გახლდათ წევრი სა-რევიზიო კომისიისა და თუ არ ვცდებით, მას ეკუთ-ნის ტერმინი „უნუგეშონ“ მიკუთვნებული წერაკით-ხვის საზოგადოების საქმეთაღმი. ბ-ნმა ირ. ივ. რა-მიშვილმა განმარტა აღნიშნული სიტყვა და ცხად ჰყო მისი შეუფერებლობა, მაგრამ შთაბეჭდილება მაინც უნუგეშონ დარჩა.



ბამა რიკიტა თალაკვაძე

*) ამ სახელწოდების აღჩევის დროს გაზ. „საქართვე-ლოს“ ცხადია მიუბაძავს კვასის ფირმის „ჩვენი გემოსათვის“.

დეკანზი ნიკიტა თალაკვაძე, ვითარცა ბ-ნი გორდეზიანი, სარევიზიო კომისიის წევრია. მან კრე-ბას განუმარტა „უნუგეშონ მდგომარეობა“ საზოგა-დოების მუზეუმ-წიგნთსაცვისა“, რომელსა არა შესძლებია არსებობა თვინიერ დავით კარიჭაშვილი-სა. კამათის დროს მამა ნიკიტა ლაპარაკობს პორი-ზონტალურათ, ანუ უფრო გასაგებათ რომ ვსთქვათ

ცოტა ბრტყლათ, რითაც შთაბეჭდილება რჩება ვერ-
ტიკალური, ანუ უკეთ ვსთქვათ ვიწრო.



გ-ნი პლატონ ლეშაბა

აღნიშნული ორატორი ჩერნ პირველად ამ წელს
ვნახეთ წერა-კითხების კრებებზე. სამკითხველოთა
„უნუგეშო“ მდგომარეობის „შესახებ მსჯელობის
დროს მან გამოსთხვა აზრი: დაენიშნოს თითოეულ
სამკითხველოს წლიურათ 200 მანეთი. ეს აზრი
ყველას მოეწონა, ვინაიდან სამკითხველოებისათვის
ფული ძლიერ საჭირო და სასარგებლოა.

დასასრულ არ შემიძლია აქვე არ მოვათავსო
სახება ბ-ნი ვასო ედილაშვილისა. სადაც უნდა



მიხვიდეთ: წერა-კითხების კანცელარიაში, გინდ სათა-
ვად აზნაურო ბანქში კრების ალაგის, ყოველგან
ნახავთ ვასოს. ვასო ზის და მუშაობს. მოლაპარაკე

კრებებზე ვასო ჯერ არავის უნახავს. ახირებული
ქართველია ეს ვასო: დილით, გინდ საღამოთ ზის და
მუშაობს. როცა კრების დარბაზში მქუხარე სიტყვათა
კორიანტელი სდგის, როცა ბანკის კედლები ზანზა-
რებენ, ვასო ედილაშვილი ზის და მუშაობს. აი
ეს გარემოება არ ეგუება ქართველი კაცის ბუნებას
და მეც ამიტომ ვათავსებ მის სურათს: დახედეთ,
ბატონებო, იქნებ მართლაც არ არის ვასო ედი-
ლაშვილი ქართველი. ჩერნ ყველაფერს შევურიგ-
დებოდით, მაგრამ ასე გამუდმებით მუშაობა და რაც
ყველაზე უფრო შეუფერებელია ქართველი კაცი-
სათვის უ ბაქი-ბუქიბა, კეშმარიტათ ეპეს გვიღვი-
ძებს გულში.

ჯერ კრება არ გათავებულა და მომავლისათ-
ვის კიდევ შეიძლება გამოჩნდენ სხვა ღირს შესანი-
შავი პიროვნებანი.

მჯგავა.

მოცლილი ჰაზის ფილმების

ცხოვრობდა ერთი მოცლილი კაცი და დაქე-
ტებოდა მუდამ სოფლიდან სოფელში, დაბიდან და-
ბაში და ქალაქიდან ქალაქში. ბევრს არ მოსწონდა
მისი საქციელი და „კაცუნას“ ეძახდენ, მაგრამ ის
ამას მაინც და მაინც დიდ ანგარიშს არ უწევდა, რა-
დგან კარგათ იცოდა თავისთავის ფასი. ხშირათ
იტყოდა ხოლმე: „გინც რა უნდა სოქესო, წისეკილმა
კი ფქვასო.“ და ისიც ამ ანდაზის თანახმად ცხო-
ვრობდა. დადიოდა და აკვირდებოდა ადამიანთ ცხო-
ვრებას და მის დაკვირვებებს უბის წინგში იწერდა.

როდესაც სიკვდილის მოახლოვება იგრძნო, და-
ლუქა თავის უბის წიგნი და ზედ წააწერა: იმას უტო-
ვებ, ვინც დააფასებსო, და ისე მშვიდათ და შეუმჩნე-
ვლათ განშორდა სოფელს, როგორც მოვიდა.

მემკვიდრეები სიხარულით ფეხზე არ იდგენ:—
ოლბათ ძეირფასი რამ განძი დაგვიტოვა ჩევნმა ნა-
თესავმარ! მაგრამ, როდესაც გახსნეს, პირს კატა
ეცათ და გულ მოსულებმა წამოიძახეს: აი მართლა ის
„კაცუნა“, ისაო და კონცერტი ქუჩაში გადაისროლეს.

მაგრამ სწორეთ მდროს შემთხვევით გამოიარა
მეორე მოცლილმა კაცმა, იღლ და თან წამოიღო,
და სურს გამოაქვეყნოს, რომ მოცლილი მკითხველე-
ბი გაართოს:

1) „ადამიანი მხოლოდ სამ შემთხვევაშია გულწრფელი“ ერთი მაშინ, როცა მთვრალია, მეორე როცა გულმოსულია და შესამეც როცა ხუმრობს; სხვა დროს ყოველთვის სტყუის, რადგან კარგათ იცის: „სიმართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ყავდეს.“

2) „ადამიანის კეშმარიტი მეგობარი მხოლოდ სიკვდილია: ის არ აჩჩევს არც ღიძს და არც მცირეს, მისთვის ყველა ერთია: მდიდარი, ღარიბი, სულელი თუ ბრძენი, ყველას ერთ გვარი თანაგრძნობით ჩაიკრავს გულში, სხვა ყველა ანგარიშით ხელმძღვანელობს: ცოლიც, შეილიც, მამაც და დედაც. თუ გამორჩენას გამოელიან შენგან, ყველას უყვარხარ, თუ არა—ალმაცერათ გიცქერიან: „ჩემი ურგები ძროხა შეელსაც შეუქმიაო.““

3. „თუ გსურს სწორი გზით იარო, მაშინ იმ გურულს უნდა მიჰბაძო, რომელსაც საღილობის დროს ხვლეული ჩაუვარდა ლობითში, ამითყვანა და პირში გამოისეა: ძამიავ, არც შენი მინდა, მარა არც ჩემსას გაგატან.“

(შემდეგი იქნება.)

მოცლავთ კაცი.

† შავი შავი

შაქრუა ბიჭი, ძმა ბიჭი, კახეთიდან თფილისში ჩამოვიდა და „სპირტონოსცების“ ქუჩაზე (იმ ქუჩაზე, რომელსაც ამ საში წლის წინათ ვაგზლისსა ეძახდნენ), ერთ პატარა ოთხში დაბინავდა. შაქრუას არც ცოლი ჰყავდა, არც შეილი. რასაც იპოვიდა და იშოვიდა ვანო ბუქასთან მიპქონდა — სვამდა და სხვებსაც ასმევდა. ან კი რა აწუხებდა, სარჩენი ერთი თავი და ერთი შაშვი ჰყავნდა. ძლიერ უყვარდა შაქრუას შავი შაშვი, რომელიც გალიაში ჰყავდა დაშვეული.

ერთ უბედურ დღეს „დამწყვდეული შავი შაშვი“ გარდაიცვალა.

დილხანს იტირა და იყალალი შაქრომ თავისი. ძვირფასი მომღერალი ფრთოსანი. შაქრუა არ იყო მგოსანი, რომ ლექსით შეემკო შაშვი, მაგრამ რაკი ტირილითა და ვაი-ვიშით გული ვერ მოიოხა, გადასწყვიტა, თავისი ჭირი მეგობრებს გაუშიაროს — იტიროს შაშვი და გაპატიოსნებული, ანდერძ-აგებუ-

ლი დაასაფლაოს. შეიძლება ვინმე მეგობართაგანმა შაშვს „რეჩიც“ კი უთხრას, — ფიქრობდა შაქრუა, ზედაშეც აუცილებელია.

გაუკეთა შაშვს კუბო.

მოიწვია მეგობრები.

იტირებს მეგობრებმა შაშვი: დაღვრეს ცრემლი. შაქრუას თანაგრძნობა გამოუცხადეს და როგორც ჩევულებაა, „გადასახურავიც“ (წასაბურავი) მიართვეს: ვინ მანეთი, ვინ მეტი. წესიერა ყველას აჯობა და ხუთი თუმანი გადუხადა. მოიწვიეს მღვდელი, აუგეს შაშვს ანდერძი და გაპატიოსნებული მიწას მიაბარეს.

ვალმოხდილი მეგობრები მოუსხდენ სუფრას და შაშვის შესანდობარი გადაჰკრეს.

„ღმერთშა აცხონოს შაშვია,

ჩვენ რომ გაგვიძლო ფაშვია“...

ამაგრა.

გეორგეს გასაჭირი

ოჲ, ჩემ ფეფუელის რა უთხრა ჩემი ამ დღეში ჩაგდებისათვის! არა, მაინც რა ნაირათ ატყდა კაცო! ვაინა გამოცხადდა თუ არა, სულ იმას ჩამჩიჩინებდა თუ: „თათრის პოზიციაზე წადი, რომ ფულები იშოვოთ“. კაცო და ეს შეჩვენებული ჩემი დედაკაცი პოზიციაზედა მგზავნის, თითქოს ერთი დიღი ვაჟკაცი გეროი ვიყო! ბევრი ვატყუილე, ფეხი ავითრიე, მაგრამ ბოლოს მაინც იმან მაჯობა!

დალამდა პარასკევი სალამო, ვახსენე წმინდა შაფნაბადას მაღლი, გამოვისახე პირჯვარი და წაველ ვაგზალში. ავიდე სარაყამიშის ბილეთი და მიველ ყარსის პოზიციები. მინდა რაღა, რომ წავიდე თათრის პოზიციაზე და ჩემი ფეფუელის სურვილი შავისრულო. მიველ, მაგრამ შასვლა არ გინდა! ვაგონის კარგებში ისეთ ნაირი გლეჯა-ფლეთაა, ისე დომხალივით არეული ქალი და კაცი, ისეთი წივილ-კივილია და ისე ვადადიან ერთი-მეორეზე, რომ გეგონება ახთურმას თამაშობენი. უცებ შავფიქრიანდი კაცი. ვიფიქრე: კაცი ფულის მოსაგებათ მივდივარ და ვაი თუ ამ არეულ ხალხმა გამიგდო. ფეხ ქვეშ, და ნაწლევები გაღმამაყრევინა მეთქი! ამოტორლა ხალხი პაჩტი ყველა თოვებიალში იჯდა მე კი ფჩხილების მოსაჭრე-ლი დანით რა ვაჟკაცობა უნდა გამამეჩინა! დავდექი

და უუურებ. შე ვთქვი ეს არეულობა გათავდება და სლაბოდნათ შავალ მეთქი. ვაკ, ამ რაზმიშლენიაში რომ ვარ უცებ ტრეტი ზეიძოკი არ დაპერეს!!! აბა, გიყვარდეს ჩემი გაქცევა. მამენტალნათ მივვარდი ვაგონის კარებს, მაგრამ ბანჩუნეს! ვინ გიღებს კარებს. კიდენ მადლობა უფალს, რომ ნაცნობი ბიჭები გამამიჩნდნენ, თორებ ბილეთ აღებული კაცი ვრჩებოდი რაღა! მერე ჩემი გულის პატრონი, რომ არ წავსულიყავ ჰიჭინაზე გაესქდებოდი რაღა! ძალიან ფინთი ხარატირი მაქვს, რომ ვიტყვი უნდა შავასრულო. იცით რა ინები მიქნავ ერთხელ მენაშირე ბალუს ვირზე შევჯექი და მოვკრ ქუსლი. მართლია სიჩქარეში პირი კუდისკენ მამივიდა, მაგრამ მაინც არ შამშინებია. რო გავაჭინე ამ არსენალის აღმართისკენ, სულ წეითქი გადავადინე. მირბის, მაგრამ რა მირბის! სულ თან მიაქვს არე-მარე. ეს-ეს არის უნდა გადმომაგდოს რაღა და ცოლშვილს გამამასალმოს, მაგრამ რომ ჩავაფრინდი კულში უტოპლენიყით, კინალამ გამოვაძრე კული უფლის მადლმა ბევრი ტლიონები ყრა, მაგრამ მე ჩემი ნათქმის კაცი ვარ, რომ ესთქვი, მაინც გავაჭინე იმ აღმართში. ჰოდა მე რომ ამ გულის პატრონი, ბილეთ აღებული არ წავსულიყავი სარაყამიშში ნამდევილით გულის რაშირენია მამივიდოდა. კიდენ კარგი რომ იმ ჩემა ნაცნობებმა ვაუკაცობა და სიმარჯვე გამაიჩინეს. მამენტალნათ ვაგონის კარების კოშკა გახსნეს, დამავალეს ხელი და კვდარ კატასავით გადამათრიეს გაგონში. ამიყვანეს, მაგრამ დადგომა არ გნედა! ისეთ ნაირათ არის ხალხი ჩაწყო ბილი, გეგონება ფიჩულიაო. მე კაცების თავებზედა ვგორაოთ რაღა! სულ ნაკლული ტიკივით მაქან-ჰეურებენ და ხან აქეთ მისვრიან, ხან იქით. ბოლოს როგორც იყო კიდევ ჩვენში ბიჭებმა ამიღეს და როგორც მარგილი ჩარქო, ისე ჩამარჭვეს ამ ხალხში. ისეთ ნაირათ ვარ გაჭედილი, ისე პლოტნათ ვარ ჩასმული, თითქოს ვინტოვკის ტყვია დევს ლულაშიო, ფეხები სახეს მოცილებული მაქ პოლზე და ისე ვტივტივებ ამ ხალხში გეგონება ჩიფურა-შვილის ბოთლის პროპკააო. ისეთ ნაირ კუბლა ბარიშნებს ვეხახუნები და ვეხეთქები, რომ სულო ცოდვილო არშიყობის გუნებაზედაც მოველი. მინდა რაღა რომ ერთი სხვანარი ფრანციული ფართი-ფურთის კოპლისმენტები უთხრა, მაგრამ ხელებს ზე-ვით ველარა ვწევ. ისე მაქვს დაჭერილი, თითქოს

არტაშნები შემოუქერიათო. ცოტა მივიწ-მოვიწიე და ჩუმ-ჩუმათ დაბლიდან გავყავ ხელი, ისე მაქვს გამოაპლანული, რომ ეს ჩემი ხელი ნამდვილათ იმ ბარიშნას უნდა მოხვდეს, რომელსაც მე ვერაშიყები. საქმე გზიარხულია, გულს სულ ტაკი-ტუკი გააქვს, რომ ამ დროს იგრიალა ხალხმა, დამიზნებულმა ხელმა ნაპრავლენია დაკარგა და ვიღაცა სხვას დაეტა-კა თურმე. ვუცაცუნებ ხელს და რაღაცა ხმელათაა, მე მეგონა ჰარიშნას ვუცაცუნებ ხელს მეთქი და თურმე ვიღაცა ბებერი პრაპორჩიკისთვის მიცაცუნებია, მაგრამ მე რა ვიცი. იმას ჰეონებია თუ ვიღაცა ჯიბგირი მიყოფს ხელს ჯიბეშიო და და-იწყო ღრიალი: „ახტი კარმანჩიკ, მერზავეც, ნეგა-დიაიო!“ კიდენ ჩემი იღბალი, რომ ძალიან იყო ამ ხალხში გაქედილი და ხელი ვერ ამაძრო, თორებ ზედ შუაზე გადამშრიდა. როგორც იყო შაეცვეწა ხალხი და დაუშოშინეს. მეც შავხედე რომ ჩემი საქმე ფინთათ მიღიოდა და როგორც იყო თავი ვა-ძრინე. ვდგევარ ჩემთვის და ვფიქრობ გადავრჩი მე-თქი, რომ ამ დროს იგრიალა ხალხმა და ზედ უტორნის კარებზე მიმახეთქა. კარები ოდნავ მოხურული ყოფილა და რომ დავეტაცე კარებს როგორც შურდული ისე შავვარდი უბორნიაში. ისეთ ნაირად დავასქდი, რომ შარვლის ლილებმა სულ ტკაცა-ტკუცი დაიწყო. ახლა აღარ გინდა გამოხვიდე გარეთ! ჩაერჩი შიგ და ამ ღუხისა და ლადიკალონის ნუ-ხანით ჩავედი სარაყამიშში. იქ პატარა საქმე ვიღე და ისევ უკან დაბრუნება დაგაპირე. მოველი ვაგზა-ლზე და რის ვაი ვაგლახით ავიღე ბილეთი. ვიფიქრე ეხლა კი მშვიდობიანათ წავალ მეთქი, მაგრამ აქ უარეს ნესხასტიას წავალზედი. ახლა მინდა რომ მე-სტა დავაზანიატო, რომ კიდევ ისეთი თინი არ მამივიდეს როგორც ქალაქში. მივგარდი ვაგონის კარებზე და ხალხი მიწო-მოვწიე. ისეთ ნაირათ მივეპრები და ვშლი ხელებს, თითქოს ავლაბრის მორევში ვიყო და ვიხერჩობოდე, ერთიც ვნახოთ რაღაცამ ჩა-მიკაუნა თავში, მოციხედე სალდათი მეჭიდება და კამენდატი კვირის: „დავაი ეგო სუდაო!“ ჩამომა-სკუპეს ძირს. სხვები შაუშვეს და დაკეტეს ვაგონი. პოეზიდი მიღის, მე ვდგევარ ბილეთით და ვტირი რაღა! ვეხვეწები: გოსპოდინ კამენდატ ჟუსტიტი პატა-ლუსტა. მოი უენა ნაგამი ჩიუღლი, ანა სევოდნა რაღიც მინე ნასლედნიკ მეთქი, მაგრამ ვინ დამიჯერა. დაიყვირა: „ვაზმიტი ელო ნა პერედნი პოზიცია!“

ვა, ხალხნო, ქრისტიანები არა ხართ?! მიშველეთ
რაღა! ვინ მე და ვინ პერედნი პოზიცია! ნეუზელი
ჩემი სიყმე, ჩემი მურაზი ასე ერთბაშათ უნდა და-
ჰქონება!! მოდი ეხლა და დედაკაცს დაუჯერე! ეს სულ
იმ ლეთისგან შახვენებულმა მიყო, თორემ მე სარა-
ყამიშში რა მინდოდა,

ოხ, ფუფული, შენ დაიწვი
გახურებულ საკირეში
და არ ნახო ჩემის ცოდით
კარგი რამ შენ სიცოცხლეში.


რათა, რისთვის, შე უღმერთოვ,
ეს რა მიყავ, სად ჩამაგდე?
ნეუზელი ზარბაზნების
დასაფლეთათ გადამაგდე!

ჩემი დღენი თაქს გევლები,
კუკლასავით შაგინახე,
რაც შეგირთე აბა მითხარ
ქალებში თუ დამინახე?

შენ შაგწირე ჩემი სიყმე,
ულვაში და ნამუს-ქუდი,
შენ კი ცეცხლში გადამაგდე
და სხვას გაუქნიე კუდი!

ახ, თუ დავძვერ მე ცოცხალი
და შამოვყავ ქალაქს თავი,
მოკვდე თუ არ მოგიხარშო
წანდილი და შილაფლავი.

გოგია.



გურული ცცენა

(საკაიდლისით მოოქმა, ვაი ვუის ჩხაზე)

როცა მე, გარდა ქამისა და სიკორწიალაზე
კორწიალის მეტი იფერი მაწუხებდა, მოგეცეს ღმერ-
თის წყალობა შობა-კალანდის გათენება მე მიხა-
როდა.

ბარბარობას რომ ჩვენსას სასუქში ჩასაგდები
ქათმების კრიაზი შეიქნებოდა, იგი კრიაზი ტელე-
მაკ გურიელისა არ იყოს, ჩემის ყურიზა ბეთხოვე-
ნის მუსიკა იყო. ქათმების მერე მაშა ლორს ჩაგ-
დებდენ სასუქში. დილას ალრე ადგომა იმიზა მიხა-
როდა ლორიზა კეკალი დამეყარა და, სუქ, სუქ,
მაშა მეთქი მეთქვა... ლორიც ყოველ დღე სუქ-
დებოდა და თან და თან რამდენიც დაკვლის, ესე
იგი მაშნდელჩვენებურ „ნაზე „ლიტი-ლიტი“ დღე
უახლოვდებოდა, იმდენზე ვაჟა-ცდებოდა და მეტს
როთინობდა... მთელ ლორმოც დღეს მარხვას ჭმინ-
და ბერივით ვინახავდით. შობა დილას გახსნილე-
ბას აბა რაღა ჯობდა. ცხონებული ნენაი (ჩემი და-
ტიებიზა თვარი წაწყტა) ძალის იალონზე გაგვალ-
გიძებდა, ხელ-პირს დევიბანდით, პიჯარს დევი-
წერლით და მერე რიგ-რიგობით მუცელზე შემო-
გვარებდა მუცლის სალოცავ დვეძლებს და თან
გვილოცავდა:

— შენი მუცლის ტკივილი შვილო იმა-
ქარს დაბლა წყალსო. მერე დავედებოდით — გე-
ვისნილებდით — ხაციცას გახსლებოლით... საკა-
ლანდოთ, იყო და კიდევ მეტი სამოვნება გვედგა
წინ: ცხემლის ჭრა დილას მთელ სოფელში რომ
შეიქნებოდა ლორების ქვეირილი ასე იფიქრებდი
ქვეყანა იქცევაო. საწყალ ქათმებსაც ყველას იმ
დღეს დასკრიიდნ კისერს. მთელი დღე ყველა დი-
ლი და პაწერი საქმეში ვიყავით, განათხოვრებულს
მეზოფლისას აფერს ვტიებდით. საღამოს სახსე სუ-
ფრას მოუჯდებოდით ტებილათ-უკლისათ და ქველ
წელს თოფის სროლით გევისტუმრებდით — მთელი
ლამე აბა ვის ეძინა გვეშინოდა თოფის სროლა
არეკაცა მოგასრის და არ გვაჯობოსო... შობა-
ზე კიდევ უფრო ძრე გევილვიძებდით გევილო-
ცავდით. ვინ იცის ოჯახს იმ დღეს რა და რა ბე-
დნიერებას არ შევძენდით, რა და რა სოის სიმდი-

დრეს არ შევმატებდით. რა გინდოდა რომ ოჯახში გამლოცავს ჩიჩილაჟთან ერთად არ მოჰქონდა. თოფების გვახა-გუხი მთელ მიღამოს აყრუებდა. შაქრით და ფოჩიანი კამუეტით სიტებოს დავბერ-ლნიერებდით, ლორის კელვერით და ქაფ-ქაფი ლომით გავძლებოდით და წირვაზე ისეგიასხლებოდით. ნაწილობებს შეიქნებოდა მილოცვა კოცნა, შელული, ყანური სიმღერა... მერე კიდევ შინ ქეიფი... მთელი დღე კორწიალი. საღამოს აგუნააგუნა, ეი გახ! ეი გახ! რამდენი ერთი გვეისხნო.


ახლა კი, ან მე, ან ახლანდელ ბაღნებს რა აქვთ სასიხარულო. ჩემ დროს ბაღნად რომ ითვლებოდა ქაკუნს თამაშობდა ახლა იმ ხანის კაცი მოხუცებულია, ქაკუნი ითამაშოს კი არა ორივერ-ააყენებს ლოგინიდან. ბაღნები ახლა სად არის. ზოგს კლასში არჩობენ და ზოგს კიდევ იქინე შენ რომ იცი. უწინ კაი დღეის მოსლა და გათენება გვიხაროდა, სული ელეთ მელეფად გვქონდა—ახლა შენ ასე დამიშყველიხარ: ღმერთმა მრავალი შობა-კალანდა გაგიონენოს მეტქი. მე კი, ჩემო ბიძია, მეორე არ მალირსოს ჩემდა გასამწარებლათ. ასე დამილოცავს ჩემი თავი. ადვილი ხომ არ გონია ახლა შობა-კალანდის გასტუმრება. მაგინის გასტუმრებას ახლა ჯობს გასათხუარი ციცას გასტუმრება, პლასტუნების ეგზეკუციის მოშორება. შობას დვექტლი უნდა, დვექტლის კვერცხი, ქფილი და ყველი. კვერცხი უწინ შაურათ ექვსი და შევიდი იყო ახლა შაურად უსუნე, გალოკე და გზას ბარაქა დააყარე. ყველი კიდევ იაფია მანეთად ერთი ქაჭუტია უწინ რომ აბაზთა ხუთი იყო იმისთანათ, იყიც დეილოცა სამტრედია, თვითონ არ კამენ და ჩვენ გვაპურებენ. კაი თუ გინდა გაყიდე ულლათ ხარი, იქნება ქე გყავს თუ ბეითალმა ჭირის წამალი არ აუცრა, იყიდე ყველი და კვერცხი, პურის ქფილს ხომ ვეღარ იშონი? კომპერატია რომ არ ყოფილიყო ვინცხა ვაჭარი, გავკეთდებიონ საცხაიდან გაუჩენელს გააჩენდა და მეიტანდა, ახლა აღარც კომპერატიას აქს და აღარც სხევას.

იშონე თუ გინდა, კეცი ხომ უნდა? ქეა იაფი ხუთ შაურიანი მანეთ ნახევრათ ქე იყო. უეშტი თუ იშონე სამ შაურიანი თორმეტი აბაზთა. შეშა, თი ღმერთო გააშეშე ვინცხამ ქვეყანა ასვარი. ოთხაბაზინი ურემი რეა მანეთია. ქათამი, გოჭი, ინდაური ხომ იაფია და იაფი. წულას ნულაზ იყითხავ

გინდა წულა ჩაგიცვამს გინდა ამერიკიდან გამოწერილი პოლსაპოუკი. ჩითს, ნარმას, ფანელს ცეცხლი ეკიდება, ღმერთო ცეცხლს ნუ მიაკლებ ვაჭრების დუუსტრახავ სახლს.

კაი თუ გინდა ყორიფელი იეფია, ყორიფელი თავზე საყარათ იშონე მითხარი რა შეგარებს, რა-ფერ უნდა იმხიარულო, როიცა აფერი არ იცი ვინ კვტარია და ვინ ცოცხალი. ღვინო რომ დალიო ალავერდს ვის ერთული, სიმღერა რომ დეიშყო ვინ მოგხახებს? ქვეყანა გაცარიელებულია შინ მარტვაი დედაბერი და ბერიკაცია. სხვაი ზოგი ძალითამ წერიცხნეს, ზოგი მისით წევიდა, რაცას ვიშონი და თავსაც გადფირებულო. გოგუებიც ახლა-რუცენ... შებრუნდა კეხი: უწინ თუ საკოლოს ეხებდენ, ახლა საკოლო თვითონ ეხებს საქართველოს. ამისანი გაჯახირებული შობა-კალანდა ვისაც უნდა იმას გავუთენდეს ბარე ასი.. მე კი ბაღნების რომ არ მეხათრებოდეს ერთ მაჭახლას კალანდის მომგონს ვბრივებ და მეორეს მე ვიბრივებ... აუერი არ ვიცი სად არის თვარა, ერთი ფიშტო ფილიპე გოგინაშეილს უნდა ვსტკულო... იმ ყურმუსაღის. რჩევით შევირთე ქალი, მისი ბრალია შვილები რომ მყავს (სხვაფერ არ იფიქროთ ჩემი დარეჯანაი თვალითაც არ უნახავს), დოუჯერე მე სულელმა: „ჯარი შეილების ყოლა დიდი მოღვაწეობაა სამშობლოს სიყვარულიაო. მე აბდალის მეგონა ფილიპე ჩევნი ჩევნიზა ზრუნავს მეთქი, თურმე რუსების აგენტი იყო. გვირჩევდა სალდათები გავვეჩინა. ვან ქე მეიგო ამით, სახელიც გეროქეა და მას, მის ძმებს, და ყველა მის ნათესავებს თურმე ყველას დიდი ჯამაგირი აქ. მე კი გამომწარდა სიცოცხლე. ნეტაი რომ დაპილამდება ალარ გამოთენდებოდეს. დიესტარით მრავალს თუ კი გინდებიან, მე კი რაკაცშა მომილოცოთ: არც ჩემსას მოხვიდეთ თვარა თავს გაწმილებთ: დაგალევინებთ. სკუჩის წყალს.

პიტნა.



„თ ა ნ ა მ ე ღ რ მ ვ ე ს ზ რ ი“

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათვის

გაზეთი დის როგორც თვილისში, ისე პირველი მთველი ტლით 15 მარტი, ნახევარი ტლით 8 მარ.,
სამი თვით 4 მარ. 20 კავ., მეოთი თვით 1 მარ. 40 კავ.

ვაჟეთის ფასი ხელის მოწერლებმა წინდაწინ უნდა გადაიხადონ, ნისით არავის გაეგზავნება.

ფოსტით ხელის მოწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: ტიფლის, პორტოვი
აშჩიკ ქ. 199, ვლაძე მალაკიევიჩ ბოხოაძე.

თფილისის ხელის მოწერლებმა ფული უნდა შეიტანონ კანტორა „განათლებაში“ ოლდ. ქუჩა № 6.

მიღება სამი მთველი

უფლებდებური საპოლიტიკო, საეკონომიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ს ა მ ს რ ი ვ ე ღ მ“

(1917 წ. წელიწადი მესამე)

უოკელპირის დროში დამაცვებით

გაზეთი არის ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებისა. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ჩვეულების ეკონომიკურს ცხოვრებას: ვაჭრობა-მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის წარმატებას, საპროფესიო და სატექნიკო ცოდნათა გაურცელებას.

გაზეთი საკუთარი კორსეკოდენტი ჰქანას საქართველოს მინისტრის დაბა-ჩალაძებისა და სოციალური და პრეზიდენტის პეტროგრადსა და მთავრობისა.

გაზეთის ფასი: მთელის ტლით — 15 მ., ნახევარის ტლით 9 მ., სამის თვით 5 მ., ერთის თვით ქ-ში 1 გ. 80 კ.

ქალაქ გარეთიდან გაზეთის გაწერა ერთის თვით ფოსტის საშუალებით არ მიიღება.

არა ტლიურ ხელის მოწერათათვის გაზეთი თვის პირველ რიცხვიდან იქნება ნაანგარიშევი. ტლიურ ხელის მოწერათათვის ფასის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება შემდეგის წესით: ხელის მოწერის დროს 7 მან., პირველ მარტისათვის 5 მან. და პირველ ივნისისათვის 3 მან.

ვისაც სურს გაზეთის გაწერა ტლიურად, ეს უნდა მოიხსნოს პირველსავე ხელის მოწერის დორს.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. კანტორა ლიაა: დილით 9—3 ს.-დე საღ. 5—7-დე.

რედაქტორი: სანდრო შავშევიშვილი გამომცემელი: ამხანგობა „საქართველო“.

ყოველ-პლიურული იუმორისტიული გამოცემა

ე მ ა კ ი ხ მ ა თ რ ქ ხ

მიიღება ხელისმოწერა 1917 წლისათვის

შუალედის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებს ე ფ ა რ ი,
ხოლო გამოცემის სამხეს კანონი „გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა“

ეურნალის ფასი: 12 თვით 7 პ. —
6 თვით 4 პ. — პ.
3 თვით 2 პ. — პ.
1 თვით — 70 პ.

ეურნალის მათრახში დაიბეჭდება მხოლოდ იუმორის.
ტული შინააბრეს შერილები, ლექსები, მოთხრობები,
ზღაპრები, არაკები, შერადები, გამოცანები,
ნაკლებებიდა სხვა.

რედაქცია სთხოვს ყველა თანამშრომლებს მასალები გამოგზავნონ ამ აღრესით:



Тифлисъ

*)

С. Р. Тавартиладзе,
Ольгинская 6,
Почтовый ящикъ № 96
(ეჭმაյის მათრახისათვის)

*) ეს ადგილი კონვენტული მარკისათვის არის დანიშნული და გულმაყიშეუებს მოყავილებით, რომ უმარკო ტერიტორია რედაქცია ის დაცხის.

March 3rd 1921
J. D. D.

